ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2019 წლის

18 მარტის

სხდომის

ო ქ მ ი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე-ვარლამ ჭიპაშვილი

კომისიის წევრები: ლენა აბაშიძე, დავით კიკნაძე, იუზა კელენჯერიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, აკაკი ლურსმანაშვილი, პავლე კიკალიშვილი, გივი თხელიძე, გივი თავზარაშვილი, ქეთევან ზუმბაძე, ვახტანგ ტალახაძე, ნონა ზურაბიანი,მიხეილ ჭიპაშვილი,მარინე ხვედელიძე,რუსუდან გიორგაძე და მალხაზ ფხალაძე.

მომხსენებლები:ნანა კიკნაძე, ნინო მაღლაკელიძე და ჯაბა ბერაძე.

დღის წესრიგი:

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ პროექტის განხილვა (მომხსენებელი,ნინო მაღლაკელიძე)
2. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში არსებული სოციალური ხარჯებისა და სოციალური კუთხით მუნიციპალური პროგრამების დაფინანსების პრობლემებისა და მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა(მომხსენებელი,ნანა კიკნაძე)

3.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა(მომხსენებელი,ჯაბა ბერაძე)

4.ააიპი ხარაგაულის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში“ მოქმედი მუსიკალური წრის სოციალურად დაუცველი მოსწავლეთა მშობლების განცხადების განხილვა სწავლის საფასურის მოხსნის თხოვნის შესახებ(მომხსენებელი,ვარლამ ჭიპაშვილი)

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

მომხსენებელმა ნინო მაღლაკელიძემ დეპუტატებს გააცნო საბიუჯეტო ცვლილების პროექტი,რომლის მიხედვითაც იგეგმება:

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 დეკემბრის N 48 დადგენილებაში ცვლილების შეტანა.კერძოდ,

1. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 იანვრის N 13 განკარგულების მესამე და მეოთხე პუნქტების შესაბამისად, ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა გაიზარდა 119 061 ლარით, 2019 წლის 1 მარტიდან 2019 წლის 26 აპრილის ჩათვლით მომსახურეობისათვის, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ შ.პ.ს. ,,ნიშთან დადებული 2019 წლის 28 თებერვლის N 41 შესყიდვის ხელშეკრულების შესაბამისად.

2. 2019 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების ნაშთიდან 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებში მიმართული იქნას 27 700 ლარი, აქედან:

-მუნიციპალიტეტის საკრებულოს 4000 ლარი შენობის რემონტისათვის.

ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას 2800 ლარი საკანალიზაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისათვის - მაღალი წნევის ტუმბოსა და მილების შესაძენად.

ა(ა)იპ სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს 5300 ლარი წაგებული სასამართლო დავის აღსრულების ეროვნულ ბიუროში გადასახდელად.

ა(ა)იპ კულტურისა და ხელოვნების ცენტრს 8000 ლარი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის, კერძოდ უსინათლოთათვის, ბრაილის შრიფტით წერა-კითხვის სწავლებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გამოეყოს 7600 ლარი, მ.შ. 4000 ლარი 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მიხედვით ხარაგაულის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტებისათვის C ჰეპატიტზე, აივ-ინფექცია-შიდსზე და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის უზრუნველსაყოფად და 3600 ლარი სველი წერტილების მოსაწესრიგებლად.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, - გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 13 304 500 ლარი ცენტრალური სსიპებიდან გამოყოფილი გრანტების ხარჯზე 119 061 ლარით და განისაზღვროს 13 423 561 ლარით. - გაიზარდოს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახდელები 17 687 000 ლარი 146 761 ლარით და განისაზღვროს 17 833 761 ლარით. გადასახდელების ზრდის წყაროა ცენტრალური სსიპებიდან გამოყოფილი გრანტები 119 061 ლარი და საკუთარი სახსრების ნაშთი 27 700 ლარი.

კომისიის წევრები დაინტერესდნენ თითოეული სუბსიდიის მოთხოვნის საფუძვლებით.

ხარაგაულის კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორმა,ნიკოლოზ მაჭავარიანმა უსინათლოთა პროგრამის შესახებ ისაუბრა.მისი ინფორმაციით, ხარაგაულში 12 უსინათლო დაეუფლება ბრაილის შრიტფით წერა-კითხვას და ინფორმაციულ ტექნოლოგიებს.მაჭავარიანის თქმით,პროექტის ფარგლებში უსინათლოებისათვის მოეწყობა ადაპტირებული აუდიო ბიბლიოთეკა და ბენეფიციარებისათვის ჩატარდება სამაგიდო თამაშების სწავლებები.

კომისიის წევრი დავით კიკნაძე პროექტის დაწყებას დაგვიანებულად მიიჩნევს.

დეპუტატი მიხეილ ჭიპაშვილი მხარს უჭერს უსინათლო პირთათვის პროექტის განხორციელებას და ამასთანავე მიიჩნევს რომ პროექტის ფარგლებში ასევე უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბენეფიციართა ტრასპორტირება.

კომისიის წევრი ვახტანგ ტალახაძე აცხადებს,რომ პროგრამის დაფინანსება კიდევ მეტი უნდა იყოს,ვიდრე იგეგმება.

დეპუტატი ქეთევან ზუმბაძე არაეფექტურ და გაზრდილ ხარჯს უწოდებს 12 ბენეფიციარისათვის მოთხოვნილი თანხის გახარჯვას.**ზუმბაძის თქმით**,პროგრამა არ უნდა შეიქმნას მხოლოდ კონკრეტული ადამიანების დასაქმების მიზნით.

კომისიის წევრი მალხაზ ფხალაძე აუცილებლად მიიჩნევს პროექტის განხორცილებას და მას მხარდაჭერას უცხადებს.

კომისიის თავმჯდომარე,ვარლამ ჭიპაშვილი დაინტერესდა თუ რა თანხა მოხმარდება პროექტის ფარგლებში გასაცემ ხელფასებს.

ნიკოლოზ მაჭავარიანის განმარტებით,12 ბენეფიციარიდან 5 პროგრამაში დასაქმდება.პროგრამაში დასაქმებული 6 პიროვნების სახელფასო ანაზღაურება 11600 ლარი იქნება,ხოლო 200 ლარი კი სხვადასხვა ხარჯებისთვისაა გათვალისწინებული.

საბოლოოდ,კომისიამ მხარი დაუჭირა პროგრამის განხორციელებას,მაგრამ ამასთანავე მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებით გადაიხედოს პროგრამისთვის გათვალისწინებული სახელფასო ხარჯები,რათა პროგრამის ეფექტურობა გაიზარდოს.

კომისიის წევრმა ქეთევან ზუმბაძემ სხდომაზე ისაუბრა,რომ საჭიროა ბიუჯეტიდან ფინანსური დახმარება გაეწიოს ქორეოგრაფიულ ანსამბლ"უბისს" ქორეოგრაფიულ ფესტივალზე მონაწილეობის მიღების მიზნით.**დეპუტატის განცხადებით** ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გარკვეული ხარჯები არსებობს,რომლის დაფარვაც ანსამბლის წევრთა ოჯახებს უჭირთ მათი სოციალური მდგომარეობის გამო.**ქეთევან ზუმბაძემ** ანსამბლის წევრთა ოჯახების სახელით დახმარება სთხოვა ააიპ-ი ხარაგაულის"კულტურისა და ხელოვნების ცენტრი"-ს **ხელმძღვანელს ნიკოლოზ მაჭავარიანს.**

ნიკოლოზ მაჭავარიანის განცხადებით ორგანიზაციას ამჟამად არ გააჩნია ანსამბლის დასაფინანსებელი ფინანსური რესურსი,თუმცა მიესალმება ანსამბლისათვის ხელშეწყობის ღონისძიებებს და მზადაა იმუშავოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ანსამბლისათვის დაფინანსების მოძიების მხრივ.

სხდომას ესწრებოდა ააიპი ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის" **დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი,რომელმაც** განაცხადა ,რომ საბიუჯეტო ცვლილების მიხედვით ააიპი ხარაგაულის 'სპორტისა და ტურიზმის ცენტრს" ესაჭიროება სუბსიდია,ვინაიდან ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს" 5 300 ლარის გადახდა დააკისრა. **ჭიპაშვილის განმარტებით, ეს** თანხა ი/მ „ლამარა ნაკაშიძეს" უნდა გადაერიცხოს.2016 წლის 6 ივლისს ხარაგაულის „მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრმა" (დირექტორი ბერიკა თურმანიძე) ხელშეკრულება ი/მ „ლამარა ნაკაშიძესთან" გააფორმა კატალოგის – „საქართველო, დრო, ადამიანები" (10

ეგზემპლარი) შესასყიდად. ხელშეკრულების მიხედვით, ინდმეწარმეს 1 500 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ლარებში 2016 წლის 10 ნოემბრამდე უნდა მიეღო.

დეპუტატმა ვახტანგ ტალახაძემ იკითხა არსებობდა თუ არა შესყიდული პროდუქციის მიღება-ჩაბარების აქტი.

„სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ მოქმედი **დირექტორი გრიგოლ ჭიპაშვილი** განმარტავს, რომ წიგნი ი/მ „ლამარა ნაკაშიძემ“ დამკვეთს 2016 წლის დეკემბერში მოუტანა, თუმცა მიღება-ჩაბარების აქტი არ გაფორმებულა.

დეპუტატი დავით კიკნაძე დაინტერესდა რატომ არ გადაუხადა ერთი წლის მანძილზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა ი/მ „ლამარა ნაკაშიძეს“ დამკვეთმა ორგანიზაციამ.

გრიგოლ ჭიპაშვილის თქმით როდესაც 2018 წლის 10 აპრილს „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრის“ დირექტორად დაინიშნა, სასამართლო დავა უკვე მიმდინარეობდა და თანხის გადაუხდელობის მიზეზი მისთვის უცნობია.

გრიგოლ ჭიპაშვილმა დეპუტატებს წარმოუდგინა დოკუმენტაცია,რომლის მიხედვითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ხარაგაულის „სპორტისა და შიდა ტურიზმის ცენტრს“ ი/მ „ლამარა ნაკაშიძის“ სასარგებლოდ 1 500 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდასთან ერთად დაეკისრა 2017 წლის პირველი იანვრიდან 29 ივლისის ჩათვლით ყოველდღიური პირგასამტეხლოსა (0,1%) და ამ ინდმეწარმის მიერ სასამართლოში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 327 ლარის გადახდა.

კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა,რომ ეს არის შეგნებული უპასუხისმგებლობა ორგანიზაციის მხრიდან.

კომისიის წევრები გივი თავზარაშვილი და მიხეილ ჭიპაშვილი მიიჩნევენ,რომ მუნიციპალიტეტი იძულებულია გაწიოს დამატებითი ხარჯი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსასრულებლად,რადგან ახლა სხვა სამართლებრივი გზა არ არსებობს .

კომისიის წევრებმა აუცილებლობიდან და კანონიდან გამომდინარე მოქმედებად მიიჩნიეს უკვე აღებული ვალდებულების შესრულება და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და შესაბამისად ორგანიზაციის სუბსიდირება.ასევე, ასევე დეპუტატების შეფასებით დამატებით ადმინისტრაციულ შესწავლას საჭიროებს ორგანიზაციის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამომწვევი მიზეზები.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელმძღვანელმა შმაგი ხიჯაკაძემ კომისიაზე წარმოადგინა ფოტო-მასალა,რომლის მიხედვითაც ჯანდაცვის ცენტრის შენობის სველი წერტილები საჭიროებს მოწესრიგებას.**ხიჯაკაძემ**,ასევე დეტალურად ისაუბრა სამედიცინო შემოწმებების (სკრინინგების) ჩატარების აუცილებლობაზე,რაზეც მოიშველია მთავრობის გადაწყვეტილება და კონკრეტული სტატისტიკა მოქალაქეთა მიმართვიანობის შესახებ.**შმაგი ხიჯაკაძემ განმარტა**,რომ მოქალაქეებისათვის C ჰეტატიტზე,აივ-ინფექცია-შიდსზე და ტუპერკულიოზზე სკრინიგების ჩატარებას უზრუნველყოფს სასოფლო ამბულატორიები,რომლებიც მიიღებენ შესაბამის დაფინანსებას სუბსიიდის ფარგლებში.

აღნიშნულთან დაკავშირებით დეპუტატებმა მხარდაჭერა გამოხატეს და შეკითხვები არ ჰქონიათ.

საბოლოოდ,კომისიამ ერთხმად დაუჭირა მხარი საბიუჯეტო ცვლილების პროექტს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა ასევე იმსჯელეს ბიუჯეტიდან სოციალური პროგრამების დაფინანსების მდგომარეობაზე .

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ვარლამ ჭიპაშვილი და კომისიის წევრები უკმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ერთჯერადი ფულადი სოციალური დახმარების პროგრამისთვის თანხები არასაკმარისია.

კომისიის თავმჯდომარის,ვარლამ ჭიპაშვილის თქმით, თვეში ერთი ადმინისტრაციული ერთეულიდან დახმარება მხოლოდ ერთ მოქალაქეზე გაიცემა,რაც პროგრამის არაეფექტურობაზე მეტყველებს.

ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნანა კიკნაძე ადასტურებს,რომ სოციალური მიმართულებით გამოყოფილი თანხა მოქალაქეთა მოთხოვნებს სრულად ვერ აკმაყოფილებს

ნანა კიკნაძის განმარტებით 2019 წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური ქვეპროგრამის დასაფინანსასებლად 30 ათასი ლარია დაგეგმილი.

ნანა კიკნაძე აცხადებს,რომ თუ რომელიმე მუხლში თანხა დაიზოგება, ერთჯერადი ფულადი დახმარების გასაცემად მიიმართება, მაგრამ ამ ეტაპზე კონკრეტულად რამის თქმა ძნელია.

კომისიის წევრებმა დავით კიკნაძემ,აკაკი ლურსმანაშვილმა და მალხაზ ფხალაძემ განაცხადეს,რომ რომ მერის წარმომადგენლებს უჭირთ, უამრავ გაჭირვებულს შორის ყველაზე მძიმე მდგომარეობაში მყოფის ამორჩევა. **დეპუტატები** ამბობენ,რომ დახმარების მომლოდინე მოქალაქეებისთვის ბუნდოვანია, რატომ არ დაეხმარენ, რა ნიშნით შეარჩიეს მისი მეზობელი,რომელსაც დაეხმარნენ.

კომისიის თავმჯდომარის ვარლამ ჭიპაშვილის თქმით,საკრებულოს მოთხოვნა სოციალური ხარჯების გაზრდის შესახებ არაა ახირება,არამედ აუცილებლობას წარმოადგენს.

სოციალური მიმართულებით დაფინანსება არასაკმარისად მიაჩნიათ **დეპუტატებს- მიხეილ ჭიპაშვილსა და ქეთევან ზუმბაძეს.**

ქეთევან ზუმბაძის თქმით, სოციალური დახმარების თანხა უნდა გაიზარდოს 43 ათასი ლარის ფარგლებში, რომლითაც მერია ავტომანქანის შეძენას აპირებდა.**ზუმბაძის განცხადებით** აღნიშნული წინადადებით მისმა ფრაქციამ"ძალა ერთობაშიამ" მერიას უკვე მიმართა,რაზეც რეაგირება არ ყოფილა მერის მხრიდან.

სოციალური მიმართულებით არსებული პროგრამებიდან კომისიის უმრავლესობას მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარების ქვეპროგრამა პრიორიტეტულად მიაჩნია.

კომისიის წევრმა,სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,გივი თხელიძემ აღნიშნა რომ მერიას მისი ხელმძღვანელობის ქვეშ არსებულმა კომისიამაც მიმართა ,თუმცა ამ დროისათვის პასუხი ჯერ არაა მიღებული.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ გადაწყვიტა,რომ მერიას წერილობით მიმართონ სოციალური მიმართულებით-მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური ქვეპროგრამის დაფინანსების გაზრდის მიზნით დამატებითი ხარჯების გამოყოფის შესახებ.

კომისიის წევრებს ვარლამ ჭიპაშვილმა გააცნო ხარაგაულის მოსწავლეთა სახლთან არსებული სამუსიკო სტუდია „ჰარმონიას“ მოსწავლეთა მშობლების კომისიისადმი მიმართვა,რომლის მიხედვითაც სოციალურად დაუცველი რვა მშობელი სწავლისთვის დაწესებული ყოველთვიური საფასურის, ათი ლარის, გადახდისგან გათავისუფლებას ითხოვს.

ვარლამ ჭიპაშვილის თქმით,2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე მსჯელობისას საკრებულოს კომისიებმა მერიას, სხვა შენიშვნებთან ერთად მისცა რეკომენდაცია,რომ სამუსიკო სკოლის, სამუსიკო სტუდია „ჰარმონიას“, კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული ცეკვის წრეების მოსწავლეები სწავლის საფასურისგან გაეთავისუფლებიათ.

ვარლამ ჭიპაშვილმა კომისიის სხდომაზე დეპუტატებს ასევე გააცნო - მუნიციპალიტეტის მერის **ნიკოლოზ თოფურიძის პასუხი** საბიუჯეტო შენიშვნასთან დაკავშირებით.**ჭიპაშვილის** განცხადებით,**მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს უპასუხა**,რომ სამუსიკო სკოლასა და სტუდია „ჰარმონიაში“ სწავლება სავალდებულო არ არის- მუნიციპალიტეტის მწირი რესურსების ფონზე გადასახადისგან ყველას ვერ გაათავისუფლებდნენ,მაგრამ მერი საკრებულოს დაპირდა, რომ ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რეკომენდაციას მისცემდა უკიდურესად გაჭირვებული ოჯახების ბავშვებისთვის შეღავათის დაწესების თაობაზე

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექტორი მაია ბლუაშვილი ესწრებოდა. ბლუაშვილის ინფორმაციით,სამუსიკო სტუდიაში 31 მოსწავლე სწავლობს, მათგან 17 - ვერტყვიჭალაში, 14 კი - ხარაგაულში.

კომისიამ ერთსულოვნად მიიჩნია,რომ სოციალურად დაუცველი რვა მშობელი მათი შვილების სწავლისთვის დაწესებული ყოველთვიური საფასურის, ათი ლარის, გადახდისგან უნდა გათავისუფლდეს და **კომისიამ ააიპ-ის ხელმძღვანელს სთხოვა ამ საკითხის მოგვარება.**

საბოლოოდ, მაია ბლუაშვილმა განაცხადა,რომ წლის ბოლომდე **რვა მოსწავლის** მიერ გადასახდელი **თანხა 800 ლარს შეადგენს** და ორგანიზაციის შიდა რესურსების ხარჯზე შეძლებს , რომ ისინი სწავლის გადასახადისგან გაათავისუფლოს.

კომისია მიესალმა ორგანიზაციის ხელმძღვანელის დროულ გადაწყვეტილებას და მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს ეთხოვა,რომ აუცილებლობის შემთხვევაში მერიამ იმსჯელოს ააიპ-ისათვის სუბსიდიის დამატებით შევსების თაობაზე.

კომისიამ სხდომაზე თვითინიციატივით მოისმინა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

კომისიის თავმჯდომარემ,ვარლამ ჭიპაშვილმა აღნიშნა რომ სამსახურმა დღემდე ვერ უზრუნველყო მუნიციპალიტეტში ინვენტარიზაციის პროცესის დასრულება,რაც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

ჯაბა ბერაძის განცხადებით,მერიას დაწყებული აქვს ინვენტარიზაციის პროცესი აიპების დონეზე.**ბერაძის ინფორმაციით,** მომავალში იგეგმება ადმინისტრაციულ ერთეულებში გადასვლა ინვენტარიზაციის მიზნით.**მომხსენებელმა,**აქვე აღნიშნა,რომ ამ დროისათვის

სამსახური გეგმავს აქტიურ ღონისძიებებს,რომლებიც ინვენტარიზაციის პროცესისათვის აუცილებელია.

ვარლამ ჭიპაშვილმა ჩაიკითხა მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის დებულება და განმარტა,რომ სამსახურს ევალება იმუშაოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე და შეიმუშაოს მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა.**ვარლამ ჭიპაშვილმა** იკითხა ასრულებდა თუ არა აღნიშნულ ვალდებულებას სამსახური.

ჯაბა ბერაძის განმარტებით,მერიას ამ დროისათვის არ შეუმუშავებია მუნიციპალიტეტის ეკომომიკური განვითარების გეგმა,თუმცა **მომხსენებელმა** აქვე აღნიშნა,რომ მიმდინარე წელს გეგმავენ ამ დოკუმენტის შექმნას.

ვარლამ ჭიპაშვილის თქმით,ადმინისტრაციულ ერთეულებში განთავსებული მუნიციპალური ქონებები მიბარებული არ აქვთ პასუხიმგებელ პირებს და შესაბამისად არსებობს ქონებების დაზიანებისა და გაფლანგვის მაღალი რისკი.

ჯაბა ბერაძის განცხადებით, ქონებების პასუხისმგებელ პირებზე მიბარება ეკომომიკისა და ქონების სამსახურის უფლებამოსილებას ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს და შესაბამისად სამსახურს ბევრ შემთხვევაში **არც სამართლებრივი პასუხისმგებლობა გააჩნია უპატრონოდ დატოვებული ქონებების გაფლანგვისა და დაზიანების შემთხვევაში.**

დეპუტატ ქეთევან ზუმბაძეს დაინტერესდა გააჩნია თუ არა შესაბამის სამსახურს დეტალური ინფორმაცია თუ რა ქონებას ფლობდა მუნიციპალიტეტი.

ჯაბა ბერაძემ განმარტა რომ სამსახურს გააჩნია მონაცემები ძველი ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით.

მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის უფროსის ჯაბა ბერაძის თქმით,ის საკითხები,რომელზეც საკრებულო სამსახურის წინა ანაგარიშის შეფასებისას მიუთითებდა ჯერ მოგვარებული არაა თუმცა დაწყებულია მუშა პროცესები.

საბოლოოდ,კომისიის შეფასებით, მიზანშეწონილია შესაბამისი სამსახურის საქმიანობის ანგარიში გავიდეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და შესაფასებლად,სადაც კიდევ ერთხელ გამოიხატება პოზიციები კომისიის სხდომაზე დასმულ პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით .კერძოდ კომისია ითხოვს დეტალურ პასუხებს და უკმაყოფილებას გამოხატავს თუ რატომ ვერ მოახერხა სამსახურმა საკრებულოს მიერ წინა წელს გამოხატული შენიშვნების გათვალისწინება, კერძოდ, რატომ ვერ უზრუნველყო სამსახურმა მუნიციპალიტეტის ქონებების ინვენტარიზაციის პროცესის ჩატარება,სათანადოდ რატომ არ გატარდა ღონისძიებები მუნიციპალური ქონებების მოვლა-პატრონობის მიზნით, სამსახურმა რატომ არ შეიმუშავა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების გეგმა და რატომ ვერ შესრულდა მუნიციპალიტეტში პრივატიზებით მისაღები შემოსავლების გეგმა.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

/ვარლამ ჭიპაშვილი/

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N4

დ. ხარაგაული 2019წლის 29 მარტი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მალხაზ ფხალაძე-კომისიის თავმჯდომარე
2. პაატა გოგოლაძე
3. ვახტან ტალახაძე
4. იულონ კოპაძე
5. ნიკოლოზ მაღრაძე
6. ირაკლი ფერაძე
7. ბესიკ ტალახაძე
8. ზურაბ ხაჩიძე
9. აკაკი მაჭავარიანი
10. თეიმურაზ ფცქიალაძე
11. მიხეილ ჭიპაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები: ვარლამ ჭიპაშვილი, ოთარ ლურსმანაშვილი, გივი ხიჯაკაძე, პავლე კიკალიშვილი, აკაკი ლურსმანაშვილი, დავით კიკნაძე, ქეთევან ზუმბაძე, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი ჯაბა ბერაძე, შპს,,ხარაგაული 2011“-ის დირექტორი იუზა კაციტაძე.

დღის წესრიგი:

1. სოფელ ჩხერში ყოფილი მაღაზიის შენობიდან ეკლესიამდე არსებულ ქუჩას აფხაზეთის ომში 1992 წელს გმირულად დაღუპული გიორგი ლურსმანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს: დავით კიკნაძე საღანძილის თემის მაჟორიტარი დეპუტატი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიშის მოსმენა.

მომხს: ჯაბა ბერაძე სამსახურის უფროსი

3. ინფორმაციის მოსმენა შპს,,ხარაგაული 2011“-ის დირექტორისაგან, ტექნიკის მზადყოფნის შესახებ, საგაზაფხულო სამუშაოების ნორმალურად ჩატარებისათვის.

მომხს: იუზა კაციტაძე შპს დირექტორი

მოისმინეს:

სოფელ ჩხერში ყოფილი მაღაზიის შენობიდან, ეკლესიამდე არსებულ ქუჩას აფხაზეთის ომში 1992 წელს გმირულად დაღუპული გიორგი ლურსმანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო სოფელ ჩხერის მოსახლეობის კოლექტიური წერილი, რომლითაც მოქალაქეები მიმართავენ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს სოფ.ჩხერში ერთერთი ქუჩისათვის გიორგი ლურსმანაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.
მომხსენებელმა კომისიას გააცნო ისტორია აფხაზეთის ომში საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი, გიორგი ლურსმანაშვილის ბრძოლისა და გმირულად დაღუპვის შესახებ და აცნობა მათ, რომ გიორგი ლურსმანაშვილს 2018 წელს, გარდაცვალების შემდეგ დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით. დეპუტატმა მოუწოდა კოლეგებს ქუჩას რომელზედაც დაიბადა გიორგი ლურსმანაშვილი, მისი ხსოვნის პატივსაცემად მხარი დაუჭირონ აღნიშნული ქუჩისათვის გმირის სახელის მინიჭებას. რომელიც მაგალითია მომავალი თაობებისათვის, იმის შესახებ, თუ როგორ მიაგებენ პატივს ქვეყანაში სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს.

აზრი გამოთქვეს:
ნიკოლოზ მაღრაძემ, რომელმაც ისაუბრა გიორგი ლურსმანაშვილის პიროვნების შესახებ და მხარდაჭერა გამოუცხადა, ქუჩისთვის მისი სახელის მინიჭების საკითხს. თეიმურაზ ფცქიალაძემ გაიხსენე გიორგი ლურსმანაშვილი, აღნიშნა, რომ ის იყო ,,მამული ენა სარწმუნოება“

ორგანიზაციის წევრი, ეკლესიური პიროვნება. თავმდაბალი ადამიანი და სამშობლოს პატრიოტი პიროვნება. გიორგი აფხაზეთის ომში მოხალისედ იყო წასული. იბრძოლა გმირულად და დაიღუპა სამშობლოს ერთიანობისათვის ბრძოლაში. თეიმურაზ ფცქიალაძემ, მოუწოდა კოლეგებს მხარი დაუჭირონ ქუჩის სახელდების საკითხს.
დაადგინეს: კენჭისყრით კომისიის წევრების ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, საკითხი დადებითად გადაწყდა.

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში. (ანგარიში თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს: პაატა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ 6 თვის წინ საკრებულომ განიხილა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში, რა დროსაც გამოითქვა ბევრი კრიტიკული აზრი და შენიშვნა. საკრებულოს წევრებმა ჩამოაყალიბეს საკითხთა ჩამონათვალი, რომელთა გამოსასწორებლად სამსახურს აქტიურად უნდა ემუშავა და წარმდგარიყო საკრებულოს წინაშე 6 თვეში ანგარიშის შუალედურ მოსმენაზე. დეპუტატი დაინტერესდა რა შენიშვნები გამოასწორა ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა განვლილ 6 თვეში.
ვარლამ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ 6 თვის წინ მან სამსახურის ანგარიში შეაფასა უარყოფითად და ამ შეფასებისათვის მას ქონდა არგუმენტები.
კერძოდ:

1. საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი მუნიციპალური ქონებები, მაგალითად წისქვილის ძრავები, არავისზე არ არის მიბარებული. შესაბამისად არსებობს ამ ქონების განადგურების რისკი.
2. შპს,,ხარაგაული2011“-ის ქონების ნაწილი სად არის უცნობია.
3. არ არიის განსაზღვრული მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ავტომანქანებზე პასუხისმგებელი პირები.
4. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს საკრებულოში არ წარუდგენია მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების ხედვა.
5. სამსახურს ამ დრომდე არაფერი გაუკეთებია, რომ ყოფილი თანამდებობის პირებს საბიუჯეტო სახსრებით შეძენილი ტელეფონები და ლეპტოპები უკან დაებრუნებინათ.

6. სამსახური არ აქტიურობს, რომ მეწარმე სუბიექტებთან ქონების სარგებლობის უფლებით გაფორმებული ხელშეკრულებები შესრულდეს. კერძოდ: ერთ მეწარმეს 7 თვის თანხა აქვს გადასახდელი.
7. ინვენტარიზაციის 2 ეტაპი - მუნიციპალიტეტისათვის გამოუყენებელი ქონების ჩამოწერა და განადგურება არ განხორციელებულა.
8. ღია ესტრადის მოვლა პატრონობა მერიის მხრიდან შესასვლელ კარებზე ბოქლომის დადებით ამოიწურა. მუნიციპალური ქონება განადგურდა და ღია ესტრადის მოვლა-პატრონობის გეგმა არ არსებობს.

დეპუტატის აზრით შენიშვნებისა და შეფასების შემდეგ, სამსახურის უფროსს დრო უნდა დაეხარჯა შენიშვნების გამოსწორებაზე და არა ცინიკური განცხადების გავრცელებაზე სოციალურ ქსელში. დღეისათვის მდგომარეობა ფაქტიურად უცვლელია. კვლავ აცხადებთ, რომ ინვენტარიზაცია დაწყებულია და გასულ 6 თვეში შეიძინეთ წებოვანი სტიკერები. მუნიციპალური ქონების მოვლა-პატრონობაზე განაცხადეთ, რომ ეს არ არის სამსახურის უფლება-მოვალეობა. ეკონომიკური განვითარების გეგმა კვლავ არ არსებობს. მატერიალურ ქონებაზე მოვლა-ჩაბარება განხორციელებული არ არის. სამსახურმა ისევ ვერ უზრუნველყო საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ამოღება და აცხადებთ, რომ ეს მცირე თანხაა და მნიშვნელოვანი არ არის. თეთრაწყაროს მიწის ნაკვეთის იჯარის წესით გაცემის საკითხი, ისე მოამზადეთ, რომ ბოლომდე არ იყო საკითხი შესწავლილი და მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული.

პავლე კიკალიშვილი დაინტერესდა წინა წლებთან შედარებით სამსახურმა მუშაობა გამოასწორა თუ არა, რაზედაც ვარლამ ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ რა პრობლემებიც იყო სამსახურში წინა წლებში, დღესაც იგივე მდგომარეობაა.

თეიმურაზ ფცქიალაძემ დააყენა ყოფილი ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის შენობის რეაბილიტაციის საკითხი და მოუწოდა მერიას აღნიშნული შენობა, რეაბილიტაციის შემდეგ გადაეცეთ საცხოვრებლად სოციალურად დაუცველ უბინაო მოქალაქეებს.

ჯაბა ბერაძემ დასმულ შეკითხვებთან დაკავშრებით განაცხადა, რომ მისი სამსახურის უფროსად მუშაობის პერიოდში გაიზარდა იჯარის შემოსავალი და დასუფთავების გადასახადი. ინვენტარიზაციის პროცესი დაიწყო 2015 წლიდან და იმ დროისათვის გაკეთდა საქმის დაახლოებით 50 %. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სამსახურმა ორი კვირის განმავლობაში, დაიწყო და დაასრულა მუნიციპალიტეტის ა.(ა)ი. პ ,,კულტურისა და ხელოვნების ცენტრის“

ინვენტარიზაცია. მთლიანი ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტში დასრულდება ოქტომბრის ბოლოსათვის.

ეკონომიკური განვითარების გეგმა არ არის მოთხრობა სწრაფად რომ დაიწეროს - განაცხადა ჯაბა ბერაძემ და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში არ არსებობდა, არანაირი სტატისტიკური ინფორმაცია მუშაობის პროცესში მას რომ დაყრდნობოდნენ და ყველაფრის თავიდან მოძიება მოუხდათ. რაზედაც პაატა გოგოლაძემ უპასუხათ, რომ სტატისტიკური ინფორმაცია, მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმა წინა წლებში პერიოდულად მზადდებოდა და ეს ინფორმაცია დღესაც არსებობს. მან ურჩია სამსახურის უფროსს, თუ ამ დრომდე არ მოუძევია აღნიშნული ინფორმაცია ახლა მაინც მოიძიოს მერიის შესაბამის სამსახურებში და დროს უქმად ნუ დაკარგავს არსებული ინფორმაციის თავიდან მოძიებაში. სამსახურის უფროსის განმარტებით, განახლებული ეკონომიკური განვითარების გეგმა მაის-ივნისის თვეში დასრულებული იქნება.

ღია ესტრადასთან დაკავშირებით ჯაბა ბერაძემ განაცხადა, რომ მან მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინა გეგმა ობიექტის კულტურული ა(ა) ი. პ - ისათვის გადაცემის შესახებ ან გუშაგის დანიშვნასთან დაკავშირებით, მაგრამ მერმა მიიღო გადაწყვეტილება საკითხი შესასწავლად გადაცემოდა შესაბამის ორგანოებს. მან აქვე დასვა კითხვა თუ რატომ არ გადაეცა ღია ესტრადის შენობა მოვლა-პატრონობაში 2016 წელს რომელიმე სამსახურს. პაატა გოგოლაძემ განმარტა, რომ ობიექტის დასრულების შემდეგ, მასზე გამოვლინდა ხარვეზები რის შესახებაც მაშინდელმა გამგებელმა ორჯერ მიმართა შემსრულებელ კომპანიას. კომპანიის წარმომადგენლები ერთ შემთხვევაში ჩამოვიდნენ და ნაწილობრივ აღმოფხვრეს ხარვეზები, ხოლო გამგებლის გადადგომის შემდეგ გამოვლენილ ხარვეზებზე მან როგორც გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა პირადად კიდევ ორჯერ მიმართა კომპანიას. თუმცა მათგან რეაგირება არ განხორციელდა. აღნიშნული მიზეზების გამო, ვერ მოხერხდა 2016 წელს ღია ესტრადის შენობის გადაცემს პასუხისმგებელი ორგანიზაციისათვის. რაც შეეხება ღია ესტრადის შენობის რბევის და განადგურების საკითხს ის დაიწყო 2016 წლის ნოემბრიდან.

მიხეილ ჭიპაშვილმა განაცხადა, რომ ღია ესტრადის შენობაზე ხარვეზების გამოსწორება 2016 წელს ევალებოდა შემსრულებელ ორგანიზაციას და რატომ დაავალა მაშინდელმა გამგებელმა ხარვეზების გამოსწორება მუნიციპალურ ა(ა)ი. პ-ს.

პაატა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ხარვეზების შესახებ წერილი მიწერილი იყო შემსრულებელ კომპანიაზე, მაგრამ რადგან მათგან რეაგირება არ იყო, ხოლო

ესტრადის შენობაში დაგეგმილი იყო კულტურული ღონისძიებები მცირე ვიზუალური ხარვეზების გამოსწორება გადაწყდა ადგილობრივი ძალებით.

თეიმურაზ ფურცელაძის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით ჯაბა ბერაძემ განაცხადა, რომ ცხოველთა დაავადებების წინააღმდეგ მებრძოლი სადგურის შენობა სავარაუდოდ გამოყენებული იქნება საოჯახო სასტუმროს მშენებლობისათვის.

დაადგინეს: კომისიამ მსჯელობის შემდეგ საკითხი ჩათვალა შესწავლილად და შეკითხვები ამოწურულად.

მოისმინეს: ინფორმაციის მოსმენა შპს ,,ხარაგაული 2011"-ის ხელმძღვანელისაგან, ტექნიკის მზადყოფნის შესახებ, საგაზაფხულო სამუშაოების ნორმალურად ჩატარებისათვის.

მომხსენებელმა განმარტა, რომ სასოფლო სამეურნეო ტექნიკა, რომელიც ირიცხება შპს ბალანსზე, ასევე შპს ,,მექანიზატორის" ტექნიკა სრულ მზადყოფნაშია და პირველივე საჭიროებისთანავე მივლენ ნებისმიერ სოფელში სამუშაოების ჩასატარებლად. სამუშაოების ღირებულება შენარჩუნებულია წინა წლის და ის შეადგენს ერთ მეასედზე 3 ლარს. მისი განმარტებით მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეებისათვის განხორციელდება გარკვეული შეღავათები.
აკაკი მაჭავარიანმა გამოთქვა აზრი, რომ ტარიფები გამოკრულ იქნეს ყველა ტრაქტორში, რათა აცილებული იქნას გაურკვევლობა და შეკითხვები.
დაადგინეს: მსჯელობის შემდეგ კომისიამ შპს ,,ხარაგაული 2011"-ის დირექტორის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ჩათვალა საკმარისად.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურულ საკითხთა

კომისიის თავმჯდომარე /მალხაზ ფხალაძე/